პროფ. დოქ. ადნან ბულენთ ბალოღლუ

რასიზმი

რსს
გამომცემლობა

ჰრეთ. ადხან ბულეხი ბალოღლუ

ოთხიზმი

DIYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2
2020-06-Y-0003-1766
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა
Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti
Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„იკამათეს. ერთ მხარეს ებუ ზერ ელ გიფარი, მეორე მხარეს კი- ბილალი ჰაბეში... ამ ორ მნიშვნელოვან საჰაბეს ძალიან მძიმე კამათი ჰქონდათ. ბილალს გული ეტკინა, არა იმიტომ, რომ ვერ შეთანხმდნენ, არამედ შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს დიდი შეურაცხყოფა იყო. ბილალის დედა ჰაბეშელი ზანგი მონა ქალი იყო. კამათისას ებუ ზერი „შავი ქალის შვილს“ ეძახდა.

ბილალი პირველი მუსლიმთაგანი იყო. ამის გამო მან ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანა. ასეთი შეურაცხყოფა ვერ აიტანა და ყველაფერი შუამავალს მოუყვა. შუამავალი ძალიან გაბრაზდა. რასიზმი ხომ უმეცრების ხანის ტრადიცია იყო. ისლამის შუამავალი ადამიანებს ეუბნებოდა, რომ ისინი სავარცხლის კბილებივით თანასწორნი იყვნენ და მათი კანის ფერის, წარმომავლობის ან სხვა მსგავსი ნიშნით განსხვავება მიუღებელი იყო.

შუამავალმა ებუ ზერ ელ გიფარი დაიბარა და ასე გააფრთხილა: „ებუ ზერ, შენ ის დედის გამო დაამდაბლე?! გამოდის რომ შენ, ჯერ კიდევ, უმეცრების ხანიდან რაღაც გაქვს შემორჩენილი“.

ებუ ზერი ძალიან დაღონდა. სინანულისგან აღარ იცოდა, რა ექნა. ის მრავალგზის მივიდა ბილალთან და ბოდიში მოუხადა, პატიება სთხოვა. იმ დღიდან სიმაყე, ამპარტავნება და რასისტობა გულშიც არარ გაუვლია. ამ ამბიდან წლების შემდეგაც ებუ ზერი მოსამსახურეების მსგავს ტანსაცმელს იცვამდა. მიზეზს რომ შეეკითხებოდნენ, ამ ამბავს უყვებოდა". (ბუჰარი, იმან 22)

თვენ შეგიძლიათ თქვენი ქვეყანა, თვენი ქვეყნის დროშა, სამშობლო ძალიან გიყვარდეთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ქვეყნის ისტორიითა და კულტურით ძალიან ამაყობდეთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი ტრადიციებისა და წესების ერთგული იყოთ. შეგიძლიათ ეროვნული ღრებულებები, სიმბოლოები დააფასოთ და თაობიდან თაობას გადასცეთ. თქვენ შეგიძლიათ გიყვარდეთ თქვენი ხალხი, გმირები, გამორცეული ადამიანები და ამაყობდეთ მათით. ასევე ბუნებრივია გიყვარდეთ და აფასებდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენს გვერდით, ერთ ქალაქში, ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ, გაქვთ ერთ ენა და გაქვთ საერთო ღირებულებები.

თქვენ შეიძლება თქვენი ერი ძალიან გიყვარდეთ, მაგრამ ეს ბრმა იდეოლოგიად არ უნდა გადააქციოთ, რადგან ამით ფაშიზმის, რასიზმისა და სხვა მსგავსი მავნე იდეოლოგიის საფრთხე გაჩნდება.

თანამემამულესთან შეხვედრისას სიახლოვის განცდა გეუფლებათ, საერთო ჭირ-ვარამი გახსენდებათ და მზად ხართ ერისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბროთ. ეკითხები საიდან ხარ,რომელი კუთხიდან, ეძებ საერთო ნაცნობებს და ა.შ. ასეთ დროს შეიძლება შორეული ნათესავიც კი აღმოჩნდეს. თუ რამ სჭირდება, ცდილობ დაეხმა

ეს ყველაფერი ნორმალური და ბუნებრივია. ყველანი ვაღიარებთ, რომ სამშობლო, მამული, ენა, სარწმუნოება, დროშა, ჰიმნი და მსგავსი ღირებულებები ჩვენი იდენტობის გარანტია. თუ ეს ყველაფერი გაგვაჩნია ვარსებობთ, თუ არ გაგვაჩნია, არ ვარსებობთ. თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა ამ ყველაფერს განაპირობებს და მათი დაცვა ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალია.

ახლა წარმოვიდგონოთ, რომ თუ ჩვენ ამ ჩვენს ღირებულებებს, ჩვენთვის ძვირფას კუთვნილებას ცამდე ავიყვანთ და სხვებს დავამდაბლებთ, ამ მიმართულებით ყველაფერი თავდაყირა დადგება. თუ ადამიანებს ეროვნების, კანის ფერის და მსგავსი ფაქტორების მიხედვით დავამდაბლებთ, ეს წარმო-

ფაშიზმი, ეს არის ეროვნების განსხვავებულობის დაჩემება და ამავდროულად სხვა ერების დაკნინების, მათი შევიწროებისა და განადგურების მცდელობა

უდგენელი უსამართლობა იქნება.

ეროვნულ შეგნებას, ნაციონალურ იდენტობას და ამ მიმართულებით ჩვენს დამოკიდებულებას თუ ბრმა იდეოლოგიად გადავაქცევთ, ჩვენ ფაშიზმის იდეის მსხვერპლი გავხდებით. საკუთარი თავის, ოჯახის, გვარის, ეთნიკური ჯგუფის ან ერის გამორჩეულად მიჩნევა და ამ ფონზე სხვების მიმართ დამაკნინებელი განწყობების თესვა ფაშიზმისა და რასიზმის გამოვლინებაა. ამგვარი განწყობით ადამიანებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთ ჰაერს სუნთქავენ, ერთ წყალს სვამენ, ერთი ყოველდღურობა და ჭირ-ვარამი აქვთ ერთიმეორის მტრად აქცევთ. სწორედ ეს არის ეშმაკის მახე და თქვენ ამ ყველაფერს ხელს შეუწყობთ.

ფაშიზმის განმარტება

რა არის ნაცია? ნაციონალური აღქმა ჩვენი ცხოვრებისა და სოცუალური ურთიერთობის აუცილებელი პირობაა?

რა არის ფაშიზმი? ფაშიზმი არის კონკრეტული ერის ან ეთნიკური ჯგუფის წარმოშობის განსაკუთრებულად მიჩნევა, მისი უპირატესობის დაჯერება, ამის ზედმეტად ხმამაღლა გამოხატვა და დედამიწაზე არსებული სხვა ერების დამცირება. ფაშიზმი არის საკუთარი ერის უპირატესობის რწმენა და ამავდროულად სხვა ერების დაკნინების, განადგურების მცდელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაშიზმი არის ყველა ადამიანური თვისების მეორე პლანზე გადაყვანა და მხოლოდ ეროვნების მიმართ ზედმეტი დამოკიდებულება.

ფაშიზმი,ისევე როგორც რასიზმი კაცობრიობის ვირუსი და როგორც შუამავალი ბრძანებდა უმეცრების ხანის გადმონაშთია. ამგვარი აზროვნება სიამაყის, ამპარტავნების, სიძულვილის, შურის და მსგავსი ნეგატიური გრძნობებისგან იკვებება. ამ დაავადებით დაავადებული ადამიანი თავის ყველა დადებით თვისებას, სასრგებლო უნარებს,

რასიზმი
უმეცრების
ხანის
აზროვნებაა.
შუამავალი
ბრძანებდა,
რასიზმის
მიმდევარი
ჩვენიანი
არ არისო.

ღირსებას, ადამინობას, მოკლედ ყველაფერს უკანა პლანზე აყენებს და მხოლოდ ნაცისტური იდეოლოგიით იკვებება. სხვა ადამიანებსაც მხოლოდ ამ ნიშნით უყურებს და მათში სხვა დადებით თვისებებს, სასარგებლო უნარებსა და ღირებულებებს ვერ ამჩნევს.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანებს თავიანთი ქვეყნის ისტორია, კულტურა და თანამემამულეები განსაკუთრებულად მიაჩნიათ. მოქალაქეც ამ ყველაფრის ნაწილია და მასში პატრიოტული განწყობა ყალიბდება, რაც საერთოდ არ არის ცუდი. ხშირად მოგვისმენია ფრაზები „ჩვენი სასახელო ისტორია“, „ჩვენი დიდებული ერი“ და ა.შ. ეს ყველაფერი ბუნებრივია და სამშობლოსა და ერის სიყვარულის ჩარჩოებში ჯდება. რაც შეეხება ფაშიზმსა და რასიზმს, ეს სულ სხვა გრძნობა და სულ სხვა იდეოლოგიაა.

ეს თემა დანის პირზე სიარულს გავს, ამიტომ უპირველეს ყოვლისა პატრიოტობასა და ფაშიზმს შორის მტკიცე კედელი უნდა გავავლოთ. პატრიოტიზმი სამშობლოს, მამულის, დროშის, ქვეყნის ისტორიის, ეროვნული და სულიერი ღი-

რებულებების მიმართ სიყვარულს
და თავგანწირვისათვის მზაობას
ნიშნავს. ესა დადებითი მოვლენაა
და მისასალმებელია. რაც შეეხე-
ბა ფაშიზმსა და რასიზმს, ეს არის
უარყოფითი, დამანგრეველი გრძნო-
ბა, რომელიც უკიდურეს ეგოიზმსა
და ამპარტავნებაზეა დამყარებუ-
ლი. ეს უკანასკნელი არც ეროვ-
ნულ და არც რელიგიურ სიყვა-
რულთან თანხვედრაში არ მოდის.
ამ განსხვავებაზე შუამავალიც მი-

უთითებდა. როდესაც მას კითხეს, რომ საკუთარი ხალხის სიყვარული რასიზმად თუ ითვლებაო, მან უპასუხა: „არა, პირიქით, რასიზმი ისაა, როცა ადამიანი თავის ხალხს უსამართლო ქმედებებში ეხმარება“. (იხ. იბნ მაჯე, ფითენ 7)

ისლამში არის რასიზმი?

ისლამში ეროვნების მიხედვით ადამიანის უპირატესობის, ან ამგვარი ტენდენციური დამოკიდებულების ქონა მიღებული არ არის. ისლამის მიხედვით, ნებისმიერი ადამიანი, რა ეროვნების, ან სოციალური ფენის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ყველა თანასწორია. ღმერთმა ყოველი ადამიანი „დედამიწის ყველაზე ღირსეულ“ არსებად გააჩინა და დაბადებიდანვე ყველას ეს უპირატესობა თანაბრად ენიჭება. არავის აქვს უფლება ადამიანი ეროვნების გამო დაამციროს. ან რა უფლებით უნდა დაამციროს, როცა დედამიწაზე მოვლინებისას არცერთ ადამიანს არ ჰქონია არჩევანის შესაძლებლობა და ღვთის ნებით ყველა იქ გაჩნდა, სადაც ღმერთმა ინება. შესაბამისად ამის გამო ადამიანის დამცირება ღმერთის მიმართ დიდი უპატივცემულობა იქნება.

დედები შვილებს
ყოველთვის
თავისუფალს
ბადებენ.
ამის მიუხედავად
მილიონობით
ადამიანი იმიტომ
იჩაგრება, რომ
წარჩინებული
გვარიდან არ არის.
ამის მიზეზი კი
ამპარტავნება
და რასისტული
დამოკიდებულება.

ისლამი ბუნებრივია აღიარებს ეროვნებას, ეროვნულ შეგნებას, მაგრამ ყოველი ადამიანი ღვთის წინაშე ფასდება არა ეროვნების, არამედ ღვთისმოსაობის მიხედვით.

მოდით ყურანს მოვუსმინოთ:

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 49/13)

ან თუნდაც შუამავლის გამოსამშვიდობებელი ქადაგება გავიხსენოთ:

„ხალხო! ეს იცოდეთ, რომ თქვენი ღმერთ ერთა. თქვენი წინაპარიც ერთა. არაბს არაარაბთან, არაარაბს არაბთან, თეთრკანიანს შავკანიანთან, შავკანიანს კი თეთრკანიანთან რაიმე უპირატესობა არ გააჩნია, გარდა ღვთისმოსაობისა“. (იხ. იბნ ჰანბელ 5/ 411)

ამრიგად ღვთის წინაშე უპირატესი ისაა, ვინც მეტად ღვთისმოსავია, ვინც ღვთის წინაშე პასუხისმ-

حسبي الله
خادم الحرمين الشريفين الملك فهد
عبد العزيز آل سعود تقبل الله منه

إياك نعبد
صنت هذه الستارة في مكة المكرمة
وأهداها إلى الكعبة المشرفة

გებლობას უკეთ გრძნობს. მტავარი არის რწმენა და ცხოვრების წესი.

რასიზმი უმეცრების ხანის საზოგადოებრივი დაავადებაა. შუამავალმა ამ დაავადებას საუკუნეების წინ მიაქცია ყურადღება, რადგან ეს დაავადება ადამიანებს შორის მშვიდობისა და ძმობის სულს კლავდა. ამიტომ იყო, რომ შუამავალმა უმეცრების ხანის ეს მავნე ტრადიციები აკრძალა. (იხ. მუსლიმ,ჰაჯ, 147)

თუ ისტორიას გადავხედავთ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც კი ამგვარი ფაშისტური აზრი ბოგინებდა, ყველგან ომები, მტრობა, სისხლისღვრა და შეტაკებები იყო. სადაც კი ამგვარი მახინჯი აზროვნება შევიდა, ყველგან მოისპო მშვიდობა, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ადამიანური და რელიგიური მოვალეობაა.

პირველი რასისტი- ეშმაკი

როდესაც ღმერთმა პირველი ადამიანი გააჩინა, ეშმაკმა თქვა, მე მასზე მეტი ვარო. ეშმაკს სიამაყემ სძლია და იმიტომ თქვა ასე. როდესაც ჰკითხეს, თ რითი იყო ადამიანზე უკეთესი, მისი პასუხი თან სასაცილო და თან უაზრო იყო: „მე

ცეცხლისგან ვარ გაჩენილი, ის კი-
მიწისგან“. (იხ. სად 38/76; არაფ 7/12) ეს იყო
აშკარა ამპარტავნება და უტიფრო-
ბა. მისი ამგვარი დამოკიდებულება
საფუძვლად დაედო ისეთ დაავადე-
ბას, როგორიცაა რასიზმი.

ეშმაკისთვის ცეცხლისგან გაჩე-
ნილობა უპირატესობის განცდას
იწვევდა. ის ამით თავს იწონებდა
და ამაყობდა. მისი აზრით მიწა
უბადრუკი რამ იყო, დამამცირებე-
ლი, ჭუჭყიანი, რომელსაც ფასი არ
გააჩნდა. ეშმაკის აზრით ცეცხლი
ჭუჭყს ანადგურებდა, ამიტომ ის
უპირატესი იყო. ეშმაკის ამგვარმა
დამოკიდებულებამ საბოლოოდ შე-
აცდინა ის და უკვე ისეთი გზისკენ
უბიძგა, საიდანაც დაბრუნება არ
არსებობდა.

არადა ცეცხლსა და ჰაერს შო-
რის რა კავშირიცაა, იგივეა მიწასა
და წყალს შორის კავშირიც. ანუ
ჰაერის გარეშე ცეცხლი ვერ იარ-
სებებს და წყალი თ არ იქნება მი-
წა ვერ გაცოცხლდება, ნაყოფს არ
მოგვცემს. ყველა ესენი ღვთის მი-
ერაა შექმნილი და ერთმანეთთან
მჭიდრო კავშირშია. ისინი ავსებენ
ერთმანეთს და ერთი მთლიანობის
ნაწილები არიან.

ეშმაკის ამგვარი ამპარტავნება და წინააღმდეგობის გაწევა რასიზმის გამოვლინების დასაწყისად ითვლება. ამის შემდეგ ეშმაკი დაწყევლილ იქნა და მას ქვეყნიერების დასასრულამდე აქვს დრო, რომ იყოს კაცთა მოდგმის მტერი. ის მუდმივად ცდილობს გზას ააცდინოს ადამიანები. ის თავის მაცდუნებელ კვალს ყველაგან ტოვებს და მისი გზით მიმავალნი ყველგან აწყდებიან მას. ასეთ ეგოისტური იდეოლოგიის გამო კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად იყო ომები, სისხლისღვრა, ნგრევა და უბედურება. ყოველთვის არსებობდნენ

ეშმაკის დროშის ქვეშ მავალნი და მათ კაცობრიობა მშვიდობასა და ძმობას დაანატრეს. ამის გამო ხდებოდა სისხლისმღვრელი ომები, გენოციდი, სისასტიკე...

ეშმაკის ამდაგვარი ამპარტავნება, როგორც წესი, გადამდებია. ადამიანებიც ხშირად ივიწყებენ, რომ „მარტივი, უბრალო სითხისგან“ არიან გაჩენილნი და ამპარტავნება სძლევთ ხოლმე. (იხ. სეჯდე 32/8) მათი წარმოდგენით ამგვარი ფსევდოუპირატესობა აიძულებთ, რომ გზას ასცდნენ და დიდი ცოდვა ჩაიდინონ. რამდენი უდანაშაულო ადამიანი მოკლეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ეროვნების იყო. რამდენი ადამიანი დაჩაგრეს იმის, გამო რომ სხვანაირი კანის ფერი ჰქონდა და მონად აქციეს. რამდენი ერი დაუპირისპირდა ერთმანეთს და რამდენი ქალაქი განადგურდა.

„როდესაც აფრთხილებენ: ნუ თესავთ არეულობას დედამიწაზე! ისინი პასუხობენ: ჩვენ მხოლოდ მშვიდობისმთესველნი ვართ“. (ბაყარა 2/11) დიახ, ისინი ასე ამბობენ. მათი გულები სისასტიკითაა სავსე, მაგრამ კანის სითეთრით ამაყობენ და მზად არიან ყველას გადაუარონ. ასეთ ყალბი წარჩნებულობით

სხვების მიმართ ათასგვარ იარ-
ლიყს იგონებენ: თავად ელიტური
წარმოშობისაა და სხვა მდაბიოა.
ისინი ადგენენ წესებს, რომელიც
მათ ამ მანკიერ დამოკიდებულებას
თითქოსდა ამართლებს. ზოგს კი-
დევ კაცობრიობის გამოსწორების
მისი აკისრია და შედეგად რას ვი-
ღებთ? ისევ ტერორისტული დაჯ-
გუფებები, კრიმინალები, თითქოს
რელიგიით მოტივირებული ძალა-
დობრივი ორგანიზაციები და სხვა.

რასიზმის საძარცხვინო ისტორია

როგორც ცნობილია რასიზმის
ისტორია ძალიან ძველია. ადამი-
ანის პირველი მკვლელობა ჯერ
კიდევ კაენი მიერ აბელის მკვლე-
ლობით დაიწყო და რა გასაკვირია
თუ რასისტული მიდგომების და
მონობის ისტორიაც იგივე სათავე-
ებამდე მიდიოდეს.

სადაც მონობა იყო, იქ იყო რა-
სიზმიც. ამის თქმა თამამად არის
შესაძლებელი. სხვა სიტყვებით
რომ ვთქვათ,სადაც ჩაგვრა იყო,იყო
მონობაც და სადაც მონობა იყო,
იყო რასიზმი. როდესაც ადამიან-
მა ეთნიკური წარმომავლობის გა-
მო უპირატესობის განცდას მიაგნო

და სხვათა დამცირება განიზრახა, იქ გზა გაეხსნა მონობასაც.

მაგალითად, ჩვ. წ. აღ-მდე ეგვიპტელმა ფარაონებმა ებრაელები მონებად აქციეს და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა ეროვნებისანი იყვნენ. ან კიდევ, თავად ებრაელები არ იყვნენ, რომ საკუთარ ერს „რჩეულ ერად“ მიიჩნევდნენ და სხვა ერების მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება ჰქონდათ? ძველ რომში, ადამიანებს გასართობად იყენებდნენ და მონებს ერთმანეთს ახოცინებდნენ.

დედები თავისუფალ ადამიანებს ბადებენ. ამის მიუხედავად შეიქმნა წარჩინებულთა კლასი, რომლებიც სხვებს აკნინებენ და მონად აქცევენ. ამ ყველაფერზე პასუხიმგებელი კი ადამიანის ამპარტავნება, სიამაყე, შური, ბოღმა, სიძულვილი, გაუტანლობა და მსგავსი ეშმაკისეული გრძნობებია.

ყურანში ნაბრძანებია:

„და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც. უეჭვე-

„მრავალფეროვნება“ სიყვარულისა და ურთიერთობის მამოტივირებელი საშუალება უნდა იყოს და როგორ შეიძლება, რომ სიძულვილისა და ძალადობის საბაბად გამოვიყენოთ?!

ლად, ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის !“ (რუმ 30/22)

მიუხედავად აშკარა შეგონებისა, რომ ეს მრავალფეროვნება წყალობაა, ადამიანთა ნაწილმა მაინც არ ისმინა და ეს წყალობა სხვათა მიმართ ჩაგვრის საბაბად აქცია. ეს, კაცობრიობის დიდი სირცხვილია!

ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ერებს გარკვეული რასისტული პოლიტიკა ჰქონიათ. რასისტული აზროვნების მიხედვით რასობრივ განსხვავებას მხოლოდ კანის ფერი არ განაპირობებს. ერები ხასიათებით, უნარებითა და გონებრივი შესაძლებლობებითაც განსხვავდებიან. მათი აზრით თეთრი კანის ფერი ნიშნავს, რომ ადამიანი უფრო გონიერია, ხოლო შავკანიანები ნაკლებად გონიერები არიან. შესა-

ბამისად გონიერი რასა უფლებამოსილია სხვა რასებზე იბატონოს.

ამგვარმა უნიადაგო და ულმობელმა დამოკიდებულებამ მსოფლიოში შექმნა ისეთ სირცხვილი, რასაც მონობა და გენოციდი ეწოდება. უმაღლესი რასის პრეტენზიის მქონე ლიდერები ხალხს იყოლიებდნენ, ამგვარი, ავადმყოფური იდეებით აბრმავებდნენ და სხვა რასების განვითარების მოტივით ყველაფერს ანადგურებდნენ. ჩვენ ყველამ ვიცით აფრიკელი შავკანიანებისა და ამერიკელი წითელკანიანების ბედი.

ამერიკაში 1850-ან წლებში თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის აღმართლი სამარცხვინო კედელი დღესაც კი თავის გავლენას ინარჩუნებს. ამერიკაში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც კინოში, თეატრში, სასტუმროში, ბიბლიოთეკაში, ტაძარში, სკოლაში, რესტორანსა და სხვა მსგავს საზოგადოებრივ ადგილებში თეთრკანიანები და შავკანიანები ერთად არ უნდა შესულიყვნენ. ეს დაახლოებით 100 წელი გრძელდებოდა. თეთრკანიანი და შავკანიანი მოსწავლეები სხვა და სხვა სკოლებში დადიოდნენ. მატარებელშიც, შავკანიანებს

უფლება არ ჰქონდათ იმ ვაგონში დაჯდომის, სადაც თეთრკანიანები იყვნენ. ისინი ვერც იმ ონკანიდან დალევდნენ წყალს, სადაც თეთრკანიანები სვამდნენ. მათ თეთრკანიანებთან მეგობრობა და ქორწინებაც ეკრძალებოდათ. რესტორანში შავკანიანებს არც იმ ოთახში შეეძლოთ შესვლა, სადაც თეთრკანიანები მიირთმევდნენ. კანონის დამრღვევები კი ისჯებოდნენ.

მე-20 საუკუნეში ევროპაშ განვითარებული ფაშისტური მოძრაობაც ზემოთ ჩამოთვლილზე ნაკლები არ გახლდათ. დაიწერა წიგნები, სადაც განვითარებული იყო აზრი, რომ ადამიანები უნდა დახარისხებულიყვნენ კლასებად, ჩამორჩენილი რასები განადგურებულიყვნენ და მაღალი რასის გამრავლებისთვის სპეციალური ლაბორატორიები უნდა შექმნილიყო. ფაშისტური იდეოლოგიის მატარებელი პარტიები უკიდურესად გაძიერდნენ, მათი გამოსვლები უფრო და უფრო აგრესიულობით გამოირჩეოდა, ბოლოს კი ეს ყველაფერი სასტიკ ძალადობად გარდაიქმნა.

თუ საზოგადოებაში ფაშისტური ან რასისტული იდეები მომძლავრდა, ისინი აუცილებლად დაიწყებენ

სხვების,განსხვავებულების დევნას. თუ დამცირებითა და დაცინვით გული ვერ იჯერეს, თავს ესხმიან, კლავენ, ანადგურებენ. ფაშიზმი იმდენად გაუმაძღარი გრძნობაა, რომ ის განადგურებისკენ, გენოციდისკენ გიბიძგებს.

ისტორიას არ დავიწყებია მეორე მსოფლიო ომში მომხდარი სისასტიკე,როდესაც ნაცისტებმა მილიონობით ებრაელი დახოცეს და მათი უმეტესობა კრემატორიუმებში გაანადგურეს. ჩვენ არც ის გვავიწყდება, რომ სერბებმა 1992-95 წლებში დაახლოებით 200 ათას ბოსნიელს გენოციდი მოუწყვეს.

აქვე გავიხსენოთ ბოსნიის პირველი პრეზიდენტის ალი იზზეთ ბეგოვიჩის სიტყვები: „ცხოვრება ის თამაშია, სადაც მორწმუნე და კეთილი საქმის მკეთებელს გარდა ვერავინ, ვერაფერს მოიგებს“. ეს ძვირფასი სიტყვები ჩვენს მიერ აქ წამოწეულ საკითხსაც შეეხება და ბევრ რამეზე მიგვანიშნებს.

დიახ, თუ ერში ფაშისტური აგრესია გავრცელდა იოლად აღარ განეიტრალდება. ის ყველას და ყველაფერს მისწვდება. მათი აგრესია არ დაინდობს დიდსა და პა-

ტარას, ქალსა და ბავშვს, მოხუცსა თუ ავადმყოფს. აქვე გავიხსენოთ 1982 წელს გერმანიაში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი, რომლის დროსაც ფაშისტების ჯგუფი თრქულ ოჯახს თავს დაესხა და იქ გაჩენილი ხანძრის შედეგად დედა და სამი შვილი დაიღუპა. ეს პირველი თავდასხმა იყო. მას შემდეგ კი სულ გრძელდება და გრძელდება...

ბევრი მაგალითის მოყვანა საჭირო არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ევროპაში ისლამოფობიის პარანოიის ქვეშ მრავალი

ჩვენ არ ვაპირებთ
პასიურნი ვიყოთ
მათ წინააღმდეგ,
ვინც რასიზმს აღვივებს
და ამ გზით ჩვენი
ურთიერთდაპირისპირება
სურს.



ასე დაჟნებით
რომ ავრცელებენ
აზრს მუსლიმების
წინააღმდეგ და
მუსლიმების
მიმართ ასეთი
ფაშისტური
დამოკიდებულება
იზრდება, ეს
არამარტო
ევროპისთვის,
არამედ
კაცობრიობის
საერთო
ოჯახისთის
უკიდურესად
საშიშია.

თავდასხმა ხორციელდება. ამავდროულად ფეხქვეშ ითელება ისევ ევროპული მიღწევა, რომელიც მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპს ემყარება.

რასიზმი დღესაც ახასიათებს

დღეს ევროპაში ულტრა-მემარჯვენე და ნაციონალისტური პარტიები გაძლიერება უკვე ცხადი ჭეშმარიტებაა. ამგვარი სწრაფი ზრდის მიზეზი კი უცხოელი ევროპაში უცხოელი მიგრანტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდაა. ამ მხრივ განსაკუთრებულად დიდი მუსლიმი მიგრანტების რაოდენობაც. ევროპელები შეშფოთდნენ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის საშუალო ასაკი გაზრდილია და არსებულ სიცარიელეს უცხოელი მიგრანტები ავსებენ.

ნაციონალისტური პარტიები თავიანთი პროპაგანდის საფუძველს უცხოელების მიმართ მტრობაზე ამყარებენ. მათ შექმნეს მითი „ისლამის შიში“-ს სახით და რეალურად ისლამოფობიური განწყობები გაავრცელეს. სამწუხაროდ დღეს, დასავლეთში ისლამოფობია რიგი პოლიტიკოსებისთვის საკმაოდ სარფიანი მიმართულებაა. მა-

თი გეგმის მიზანია მაქსიმალურად შეზღუდონ მიგრანტების სამოქმედო არეალი და საბოლოო ჯამში ევროპიდან გააძევონ. ისინი კრძალავენ ისლამური სიმბოლოების დემონსტრირებას, სკოლებში არ იღებენ თავდახურულ გოგონებს, კრძალავენ მინარეთების მშენებლობას და სხვა.

დღეს უკვე ფაშისტური განწყობები უცოდველობად წარმოაჩინეს, მაგრამ მათ დამოკიდებულება ღარიბი ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტების მიმართ უკიდურესად ბარბაროსულია. ამგვარი ზეწოლა განსაკუთრებით გაძლიერებულია მუსლიმი მიგრანტების მიმართ და ეს ტენდენცია არამარტო ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის სახიფათოა. ისტორიიდან სასარგებლო გამოცდილება უნდა მივიღით და წარსულის შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. სამწუხაროდ ისევ იგივე შეცდომებისკენ მივექანებით.

რასისტი- ნაოსანული აზროვნება

„მე რასისტი ვარ. ეს აზრი გონებიდან არ ამომდის. ჩემი გონება არ მემორჩილება, ვერ ვაკონტროლებ. ვიცი, რომ ეს არასწორია, მაგ-

რამ ვერაფერს ვცვლი“. ეს არის სტანდარტული რასისტის აღსარება. ამ აღსარებაში ადამიანი არ უარყოფს, რომ მსდარ გზს ადგას, მაგრამ ვერაფერს ახერხებს და თითქოსდა დახმარებას ითხოვს. რასისტის ქვეცნობიერში ჩაბუდებულია ვირუსი, ეს ცხადზე ცხადია. ეს ვირუსი გონებას ურევს და ადამიანი რადიკალური ეგოიზმისკენ მიყავს.

როგორც კი ადამიანში რასისტული მიდრეკილებები გაჩნდება, ის ამის პარალელურად საკუთარი თავის ზედმეტად მოწონებას იწ-

ყებს. ეგოიზმი და სიამაყე ზედაპირზე ამოდის და ადამიანის გონებას იმორჩილებს. იწყებს ფიქრს: „მე მნიშვნელოვანი ვარ. ჩემზე მეტი არავინაა,ჩემზე გონიერი არავინაა“. მისი ამგვარი ფიქრები პარანოიად გადაიქცევა ხოლმე. ადამიანის ხდება ნარცისი. ის აღფრთოვანებულია საკუთარი თავით და მუდმივად საკუთარ თავს ათამამებს.

რასისტი ერთგვარი ბრმაა,რომელიც მხოლოდ ორ ფერს, თეთრსა და შავს ხედავს.

რასისტი მუდმივად განტევების ვაცს ეძებს და ნახავს თუ არა, მზად არის გაანადგუროს.

რასისტს სურს, რომ მონახოს მეორე მხარე, რომელსაც დაადანაშაულებს, დაამცირებს, ყველაფერს დააბრალებს და თუ შეძლო მონად გაიხდის.

რასისტი სიყვარულის ნაკლებობას განიცდის. ის ასეა გაზრდილი. სასტიკია,შეუბრალებელი,ეგოისტი. საკუთარ თავს ძლიერად თვლის, მაგრამ სინამდვილეში უმწეოა.

რასისტებად არ იბადებიან. რასისტები შემდეგ ხდებიან. რასისტობის სწავლა და სწავლება შე-

საძლებელია. რასისტის ჩამოყალიბება შეიძლება.

გამომდინარე აქედან, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი აქვს. თუ ჩვენ განათლებას მეტ ყურადღებას მივაქცევთ და ჯანსაღ თაობებს აღვზრდით, რასიზმი დამარცხდება.

რა ბედნიერებაა, როცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რასიზმის მსგავსი სირცხვილი არ გვხვდება.

რა ბედნიერებაა, როცა ჩვენი ერი სიძულვილით, ძალადობითა და სისხლით არ არის ნაკვები.

რა ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიით მუდამ ვიამაყებთ და ეს სიამაყე არასოდეს გადასულა ამპარტავნებაში და სხვების განადგურების სურვილი არ გვქონია.

რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ გვიყვარს ჩვენი გამჩენი და მის გამო გვიყვარს სხვებიც.

რა ბედნიერებაა, რომ გუშინ ესპანეთიდან გამოქცეული ებრაელები შევიფარეთ, დღეს კი სირიიდან და ერაყიდან გამოქცეულ ლტოლვილებს მივეცით სარჩო და თავშესაფარი. ჩვენთვის დაჩაგრულის

ეროვნებას, კანის ფერს, რელიგიურ კუთვნილებას მნიშნელობა არ აქვს და არც არასოდეს ჰქონია.

ჩვენ ვიცით, რომ თავისი სამშობლო და ერი ყველას უყვარს და ეს სიყვარული სრულიად ბუნებრივია. თუმცა ჩვენთვის პატრიოტიზმი თანამორწმუნე ძმების სიყვარულზე მეტი არასოდეს ყოფილა.

ჩვენ ვიცით, რომ ეროვნებას ვერ ავირჩევთ და ვერს უარვყოფთ. ჩვენ არც სხვის ეროვნებას უარვყოფთ და არ დავაკნინებთ.

ჩვენ ვიცით, რომ კანის ფერზე გამოკიდებული ადამიანები ბრმები არიან და ადამიანის რეალური სახე მისი სული, გული, ადამიანობა, სინდისი და ღირსებაა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს სამშობლოში რასიზმის გავრცელების მსურველები ვერ გაიმარჯვებენ და ჩვენი ხალხი ამას არ მიიღებს.

სიტვის დასასრულს კი ჩვენი თავისუფლების მარშის ავტორის, მეჰმეთ აქიფის სიტყვებს გავიხსენებ:

„ჩვენს ბრძოლის ველზე ჩვენი რწმენა ერთია,

ერთ სიხარული, ერთ ტკივილი, ერთ მიზანი, ერთ სინდისი;

განა ბრძოლაში არ მორბის ჩერქეზი, ლაზი, თურქი;

არაბი და ქურთიც ხომ ჩვენთან ერთად არიან მუდამ;

განა ერთად არ ძგერს თითოეული ჩვენგანი გული;

სამყარო რომ დაინგრეს, გჯეროდეს, ეს ისევ იქნება, ისევ!“